# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2662 2016 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კომპანია „Otto Bock HealthCare GmbH-ს“ შორის პროთეზირების სფეროში საგარანტიო მომსახურების შესახებ გასაფორმებელი ხელშეკრულების თაობაზე**

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კომპანია „Otto Bock HealthCare GmbH-ს“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება პროთეზირების სფეროში საგარანტიო მომსახურების გაგრძელების შესახებ.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით მისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში პროთეზირების სფეროში

საგარანტიო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**